

**2018 წლის 01 მაისის**  
**სსიპ საქართველოს ადვოკატთა**  
**ასოციაციის აღმასრულებელი**  
**საბჭოს სხდომის ოქმი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:**

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #36

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ციციხოველიძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ტარიელ კაკაბაძე

**დღის წესრიგი:**

- 1. ასოციაციაში განწევრიანება:** ნათია გორგილაძე, ლანა ოქრაძე, გიორგი ფაილოძე, დავით მსახურაძე, ქრისტინე ჩილინგარაშვილი, ლაბაზა დუიშვილი, თამარი კვერნაძე, გიორგი ლობჯინაძე, თეა თაყაძე, ლევანი გორგოზია, დეა ბერიძე, თამარ ბალათურია, ჰაატა კუბლაშვილი, ანა ძიძიგური, ნინო მონცობილი, ელენე ტოგონიძე, დავით გალდავა, მანანა ტაბატაძე, თინათინ მჭედლიშვილი, ნატო ტრაპაიძე
- 2. ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი განწევრიანება:** რუსუდან მჭედლიშვილი, მადონა მილდიანი, მარია მესხი, თამილა მჟავანაძე, მარიამ ჭოხონელიძე
- 3. ადვოკატთა შესახებ კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების გაცნობა:** აშხანა ქაქუთია, ვენერა ბუხაიძე, მარიამ ჩიქოვანი, თამარ ცერცვაძე, ლაშა ნაცვლიშვილი, სოსო ობოლაძე, ნათია კუპრაშვილი, ირმა პაპუნიაძე, მარიცა ლურწკაია.

4. 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრ ადვოკატთა გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით, 2018 წლის 14 მაისიდან ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

5. ადვოკატთა სოციალური დაცვის კომიტეტის შემადგენლობაში ერთი წევრის **ნატო პაპუაშვილის** კანდიდატურის დამატების შესახებ (ინიციატორი კომიტეტის თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე).

6. საერთაშორისო თამაშრომლობის და საზოგადოებრივი ურთიერთობების კომიტეტის წევრებად **თამარ ზაქარაშვილის** და **ენვერ ბარდაქის** დამატების შესახებ (ინიციატორი კომიტეტის თავმჯდომარე - ქეთევან ანდლულაძე).

7. ადვოკატ **თეიმურაზ წიქვაძის** განცხადება სისხლის სამართლის სპეციალიზაციით საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ 2005 წლის 16 ივლისს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე.

8. ადვოკატის სამკერდე ნიშნის დიზაინის დამტკიცება.

9. აღმასრულებელი საბჭოს პოზიციის მოსმენა ადვოკატთა ტრენინგისთვის პრიორიტეტული თემების გამოვლენის შესახებ.

10. აღმასრულებელი მდივნის - გიორგი ჭეხანის ინიციატივა: ასოციაციის თანამშრომლის - ეკატერინე სისვაძის მიერ სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების მაღალ დონეზე შესრულების და აღნიშნული ვალდებულებების ფარგლებს გარეთ შესრულებული სამუშაოსთვის, ეკატერინე სისვაძისთვის შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების მექანიზმის (კერძოდ, დამატებითი საზღაურის გაცემის თაობაზე 625 (ექვსასოცდახუთი) ლარის ოდენობით) გამოყენების თაობაზე.

11. სხვადასხვა

## საკითხი#1

წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს: **ნათია გორგილაძე, ლანა ოქრაძე, გიორგი ფაილოძე, დავით მსახურაძე, ქრისტინე ჩილინგარაშვილი, ლაბაზა დუიშვილი, თამარი კვერნაძე, გიორგი ლობჟანიძე, თეა თაყაძე, ლევანი**

გოროზია, დეა ბერიძე, თამარ ბაღათურია, ჰაატა კუბლაშვილი, ანა ძიძიგური, ნინი მონწყობილი, ელენე ტოგონიძე, დავით გალდავა, მანანა ტაბატაძე, თინათინ მჭედლიშვილი, ნატო ტრაპაიძე

ზემოთაღნიშნული პირების ასოციაციაში განწევრიანების საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად, წევრებმა ერთხმად მიიღეს

**გადანწყვეტილება:** “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შემდეგ პირთა განცხადებები განწევრიანების შესახებ: ნათია გორგილაძე, ლანა ოქრაძე, გიორგი ფაილოძე, დავით მსახურაძე, ქრისტინე ჩილინგარაშვილი, ლაბაზა დუიშვილი, თამარი კვერნაძე, გიორგი ლობჟანიძე, თეა თაყაძე, ლევანი გოროზია, დეა ბერიძე, თამარ ბაღათურია, ჰაატა კუბლაშვილი, ანა ძიძიგური, ნინი მონწყობილი, ელენე ტოგონიძე, დავით გალდავა, მანანა ტაბატაძე, თინათინ მჭედლიშვილი, ნატო ტრაპაიძე.

ასევე, “ადვოკატთა შესახებ” კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, მანანა ტაბატაძეს, თინათინ მჭედლიშვილს და ნატო ტრაპაიძეს შეუჩერდეთ წევრობა;

#### საკითხი #2:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი განწევრიანების მსურველთა განცხადებებს: რუსუდან მჭედლიშვილი, მადონა მილდიანი, მარია მესხი, თამილა მჟავანაძე, მარიამ ჭოხონელიძე.

წევრებს მიენოდათ ინფორმაცია, რომ ზემოთხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული:

**გადანწყვეტილება:** “ადვოკატთა შესახებ” კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, რუსუდან მჭედლიშვილის, მადონა მილდიანის, მარია მესხის, თამილა მჟავანაძის, მარიამ ჭოხონელიძის ხელახლა განწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები დაკმაყოფილდეს.

### საკითხი #3:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ: აშხანა ქაქუთია, ვენერა ბუხაიძე, მარიამ ჩიქოვანი, თამარ ცერცვაძე, ლამა ნაცვლიშვილი, სოსო ობოლაძე, ნათია კუპრაშვილი, ირმა პაპუნაძე, მარიცა ლურჯაია

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად:

“საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

ღია კენჭისყრით, წევრებმა ერთობლივად მიიღეს

**გადაწყვეტილება:** „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს ყველა ზემოთჩამოთვლილ პირთა განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ. საწევრო დავალიანების არსებობის შემთხვევაში, შესაბამის პირებს წერილობით ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი

საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებოთ წევრობა.

#### საკითხი #4:

თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრ ადვოკატთა გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით, 2018 წლის 14 მაისიდან ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე. წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

#### გადაწყვეტილება:

2018 წლის 14 მაისიდან დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2017-2018 წლის საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრ ადვოკატთა გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად:

ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება - სსიპ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია”, მის.: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #34-36; ტელ: 2 22 46 54; 790 22 46 54.

(ა) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია - 2018 წლის 14 მაისი; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს - ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღე, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტისა.

(ბ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - საწევრო გადაუხდელობის ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (“ადვოკატთა შესახებ” კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნტი).

(გ) ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც ერიცხებათ საწევრო დავალიანება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების საფუძველზე გამოცხადეს საჯაროდ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე [www.gba.ge](http://www.gba.ge), ადვოკატთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია /Georgian Bar Association/, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური

შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე; საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა სია, ადვოკატებისათვის გაცნობის მიზნით, გამოკრული იქნეს ასოციაციის ადმინისტრაციულ შენობაში, მის.: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების #34-36; ადვოკატთა ასოციაციის ქუთაისის რეგიონული ოფისის შენობაში, მის.: ქუთაისი, ნოდარ დუმბაძის #8; ბათუმის რეგიონული ოფისის შენობაში, მის.: ბათუმი, სარაჯიშვილი #22; თელავის რეგიონული ოფისის შენობაში, მის.: თელავი, ვარდოშვილის #15.

(დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, პირველი შესაბამისად, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადა დასრულდეს - 2018 წლის 05 ივნისამდე.

(ე) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2018 წლის 29 ივნისი.

(ვ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება საწევრო დავალიანების გამო ადვოკატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე და უფლებამოსილებაშენწყვეტილ ადვოკატთა სია გამოქვეყნდეს გაზეთში “რეზონანსი”, განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე [www.gba.ge](http://www.gba.ge), ადვოკატთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია / Georgian Bar Association), გამოკრული იქნეს ასოციაციის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების #34-36; ადვოკატთა ასოციაციის ქუთაისის რეგიონული ოფისის შენობაში, მდებარე: ქუთაისი, ნოდარ დუმბაძის #8; ბათუმის რეგიონული ოფისის შენობაში, მდებარე: ბათუმი, სარაჯიშვილის #22; თელავის რეგიონული ოფისის შენობაში, მდებარე: თელავი, ვარდოშვილის #15. უფლებამოსილებაშენწყვეტილ ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, მათ მიერ ასოციაციის წევრთა ბაზაში მითითებული მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ზ) 2018 წლის 14 მაისამდე დაზუსტდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა სია.

#### საკითხი #5,

წევრები გაეცნენ ადვოკატთა სოციალური დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის - ელგუჯა ჩხაიძის მიმართვას კომიტეტის შემადგენლობაში ერთი წევრის ნატო შაპუაშვილის კანდიდატურის დამატების შესახებ. წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს ნატო შაპუაშვილის კანდიდატურა ადვოკატთა სოციალური დაცვის კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში.

## საკითხი #6:

წევრები გაეცნენ საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებრივი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის - ქეთევან ანდლულაძის მიმართვას კომიტეტის შემადგენლობაში ორი წევრის თამარ ზაქარაშვილის და ენვერ ბარდაქის კანდიდატურების დამატების შესახებ. წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს თამარ ზაქარაშვილის და ენვერ ბარდაქის კანდიდატურები საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებრივი ურთიერთობების კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში.

## საკითხი #7:

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ადვოკატ თეიმურაზ წიქვაძის განცხადება, რომლითაც იგი ითხოვდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების მინიჭებას, 2005 წლის 16 ივლისის პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თ. წიქვაძე 2017 წელს განწევრიანდა ასოციაციაში სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით. მიმდინარე წლის 23 აპრილს მან მომართა ასოციაციას განცხადებით და წარმოადგინა 2005 წლის 16 ივლისის პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ასოციაცია ხელმძღვანელობს შემდეგი პრაქტიკით: 2015 წლის 15 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინება #1120194600981) თანახმად, დაზუსტდა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გავრცელების საადვოკატო საქმიანობის დაწყებაზე, კერძოდ, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატით ასოციაციაში განწევრიანებისთვის, „ადვოკატთა შესახებ“, საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტით დადგენილი საადვოკატო საქმიანობის დაწყების 7 წლიანი ვადისთვის, აღნიშნული 7 წლიანი ვადა აითვლება არა გამოცდის ჩაბარებიდან, არამედ პროკურატურის ორგანოებში საქმიანობის შეწყვეტიდან. აღნიშნული 7 წლიანი ვადის გათვალისწინებით, თეიმურაზ წიქვაძის ზემოაღნიშნული სერტიფიკატის მოქმედების ვადა ამოწურულია, რადგან მას არ აქვს წარმოდგენილი პროკურატურის ორგანოებში საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, საბჭო თვლის, რომ მისი განცხადება არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** არ დაკმაყოფილდეს ადვოკატ თეიმურაზ წიქვაძის განცხადება სისხლის სამართლის სპეციალიზაციით საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ.

**საკითხი #8:**

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ადვოკატის სამკერდე ნიშნის დიზაინი და აღნიშნა, რომ სამკერდე ნიშნის კონცეფცია სრულად ეფუძნება ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკას (ლოგოს), რომელიც ჯერ კიდევ 2006 წელს იქნა დამტკიცებული ასოციაციის საერთო კრების მიერ. წარმოდგენილი დიზაინის მიხედვით, სამკერდე ნიშნის მთავარი ელემენტია კოლხური ბზის გამოსახულება, როგორც გამარჯვების, ძლიერებისა და ერთიანობის სიმბოლო. სამკერდე ნიშანზე, ასევე, მითითებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალური დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე და პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა - „ადვოკატი“, როგორც საქართველოს კონსტიტუციის ახალი ტექსტით განმტკიცებული ტერმინი.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ ადვოკატის მიერ სამკერდე ნიშნის ტარება აღიქმება, როგორც პროფესიის მიმართ პატივისცემის გამომხატველი ფორმა და ამით ადვოკატებს მიეცემათ შესაძლებლობა კორპორატიული ერთიანობის იდეის ამსახველი სამკერდე ნიშანი ატარონ როგორც ყოველდღიური საქმიანობისას აგრეთვე, სხვა ოფიციალურ თუ სადღესასწაულო ღონისძიებებზე.

წევრებმა მოიწონეს, როგორც ადვოკატის სამკერდე ნიშნის ტარების იდეა, ასევე, მისი დიზაინი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:**

დამტკიცდეს ადვოკატის სამკერდე ნიშნის დიზაინი წარმოდგენილი სახით. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ მდივანს, გიორგი ჭეხანს, დაევალოს სამკერდე ნიშნის ღირებულების დადგენა, ადვოკატების მოთხოვნის შესაბამისად მათი დამზადება და აღნიშნული დიზაინის სასაქონლო ნიშნად დარეგისტრირება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - “საქპატენტში”.

**საკითხი #9:**

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს მიწოდა ინფორმაცია, რომ ტრენინგებთან დაკავშირებით ადვოკატთა გამოკითხვის შედეგად, დადგინდა გარკვეული სტატისტიკა



ადვოკატებისთვის პრიორიტეტული თემების შესახებ, თუმცა რადგან გამოკითხულთა რაოდენობა არ იყო მაღალი, მან მიზანშეწონილად მიიჩნია აღმასრულებელი საბჭოს წევრების მოსაზრებების მოსმენა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

წევრებმა იმსჯელეს ადვოკატთა ტრენინგისთვის პრიორიტეტული თემების გამოვლენის შესახებ. მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა რამოდენიმე მიმართულება, კერძოდ: წევრებმა აღნიშნეს, რომ მათი პროფესიული გამოცდილების და პრაქტიკის გათვალისწინებით, ისინი ადვოკატებისთვის საჭირო და მნიშვნელოვან პრიორიტეტად ასევე, მიიჩნევენ შემდეგ თემებს: ჯვარედინი დაკითხვის ხელოვნება სამოქალაქო და სისხლის სამართლის მიმართულებით, სამართლებრივი მართლწერა, მორალური ზიანის ანაზღაურება, სამენარმეო სამართალი.

**გადაწყვეტილება:** ადვოკატთა ტრენინგების თემატიკის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულ იქნას შემდეგი თემები: ჯვარედინი დაკითხვის ხელოვნება სამოქალაქო და სისხლის სამართლის მიმართულებით, სამართლებრივი მართლწერა, მორალური ზიანის ანაზღაურება, სამენარმეო სამართალი.

#### **საკითხი #10:**

წევრები გაეცნენ აღმასრულებელი მდივნის ინიციატივას ასოციაციის თანამშრომლის - ეკატერინე სისვაძის მიერ სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების მაღალ დონეზე შესრულების და აღნიშნული ვალდებულებების ფარგლებს გარეთ განეული სამუშაოსთვის, ეკატერინე სისვაძისთვის შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების მექანიზმის (კერძოდ, დამატებითი საზღაურის გაცემის თაობაზე 625 (ექვსასოცდახუთი) ლარის ოდენობით) გამოყენების თაობაზე. მათ მოისმინეს აღნიშნული ინიციატივის დასაბუთება, რომლის თანახმად, ეკა სისვაძე დამატებით ასრულებდა აიტი მენეჯერის ფუნქციებს, რაც გამონვეული იყო ტრენინგთა შესარჩევი ტესტირებების აუცილებლობით. გარდა ამისა, მას უწევს ღამის საათებშიც მუშაობა და ეხმარება სხვა თანამშრომელს სანევრო გადასახდის ადმინისტრირების საკითხებში. ყოველივე აქედან გამომდინარე, აღმასრულებელ მდივანს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული თანამშრომლის წახალისება, მითუმეტეს, რომ ასოციაციის შინაგანაწესი თანამშრომელთა წახალისების ფორმებს ითვალისწინებს და ამ ეტაპზე, მისი წინადადებაა ფულადი პრემიის შესახებ ფორმის გამოყენება, რისი შესაძლებლობაც ამჟამად არის ასოციაციის ბიუჯეტში.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და ღია კენჭისყრით ერთხმად იქნა მიღებული

#### **გადაწყვეტილება:**

ადვოკატთა ასოციაციის აპარატის შინაგანაწესის მე-5 მუხლის, მე-10 პუნქტის თანახმად, ეკატერინე სისვაძეს მიეცეს დამატებითი საზღაური 625 (ექვსასოცდახუთი) ლარის ოდენობით (დარიცხული).

## საკითხი #11:

თავმჯდომარემ წევრებს მიანოდა ინფორმაცია, რომ მიმდინარე წლის 01 მაისიდან ვაკანტურია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოზიცია. მისი წინადადებაა, ორგანიზაციის საჭიროებებიდან გამომდინარე, აღნიშნულ შტატს დაემატოს ფუნქციები ოფისის სრული ადმინისტრირების, სასამართლოში ასოციაციის წარმომადგენლობის და საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს შტატის სახელფასო სარგო. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამით არ იზრდება მთლიანი სახელფასო ბიუჯეტი, რადგანაც საშტატო განრიგში არსებული სასწავლო ცენტრის კოორდინატორის ვაკანტური პოზიციის კუთვნილი სახელფასო სარგოდან დარჩენილია 450 ლარი, რომელიც შესაძლებელია დაემატოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელფასო სარგოს, ხოლო სასწავლო ცენტრის კოორდინატორის შტატი გაუქმდეს.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და ღია კენჭისყრით ერთხმად იქნა მიღებული

**გადაწყვეტილება:** ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საშტატო ერთეულს დაემატოს ფუნქციები ოფისის სრული ადმინისტრირების, სასამართლოში ასოციაციის წარმომადგენლობის და საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით; აღნიშნული შტატის კუთვნილ სახელფასო სარგოს დაემატოს 450 ლარი და იგი განისაღვროს 2250 ლარის ოდენობით (დარიცხული).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge)

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

**დავით ასათიანი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაციის თავმჯდომარე**